

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია

# შუშანიკის წამება წერილები

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ნ. მრევლიშვილმა,  
ს. გულიაშვილმა, თ. ჯიქურაშვილმა, ლ. ვაშაყმაძემ,  
თ. ბერუაშვილმა და მ. ალავერდაშვილმა

ნაწილი I

I<sub>3</sub>



საქართველოს ენციკლოპედია  
გ ა მ ო მ ხ ე მ ლ ო ბ ა



Georgian Original Hagiography

# The Martyrdom of Shushanik

## Letters

The book was prepared for publication by N. Mrevlishvili, S. Guliashvili, T. Jikurashvili, L. Vashakmadze, T. Beruashvili and M. Alaverdashvili

Part I

**I**<sub>3</sub>

შუშანიკის წამება – წერილები  
The Martyrdom of Shushanik – Letters

პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის  
სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში

პროექტის ხელმძღვანელი და გამოცემის რედაქტორი – **ნ. მრევლიშვილი**  
ტექნიკური რედაქტორი – **ნ. სუარიძე**

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი – **მ. სანაძე**

სარედაქციო საბჭო:

**ნ. მრევლიშვილი**

**ს. გულიაშვილი**

**თ. ჯიქურაშვილი**

ყველა უფლება დაცულია.

© საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2025

© The University of Georgia Publishing House 2025

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის  
ინსტიტუტი

The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

თბილისი 0171, მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა

ug@ug.edu.ge; www.ug.edu.ge

ISBN: 978-9941-9898-0-3

აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სერიის – ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია | ტომის მესამე ნაწილს (1<sub>3</sub>). წიგნში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად თავი მოგვეყარა ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული იმ ნაშრომებისათვის, რომლებიც ეხება *შუშანიკის წამებას*, დამოუკიდებლად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ნაშრომის ავტორის პოზიციას. წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, ცხადია, ყველა ნაშრომის პუბლიკაცია ვერ ხერხდება. შევეცადეთ ვრცელი ნაშრომებიდან წარმოგვედგინა მასალა იმგვარად, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შექმნოდა *შუშანიკის წამების* კვლევასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემატიკაზე. ამას გარდა, დაინტერესებული მკითხველისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გაგვეხადა ახალი სამეცნიერო კვლევები თუ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული სტატიები. ავტორთა სტილი დაცულია, ვასწორებთ მხოლოდ მცირე კორექტურულ შეცდომებს, ან იმგვარ პუნქტუაციურ ხარვეზებს, რომლებიც განაპირობებს აზრობრივ ბუნდოვანებას და ვაწესრიგებთ დამოწმებულ ლიტერატურის ნუსხებს. პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ნანა მრეგლიშვილი, სოფიო გულიაშვილი, თინათინ ჯიქურაშვილი, ლალი ვაშაყმაძე, თინათინ ბერუაშვილი და მარიამ ალავერდაშვილი. გამოცემის მომზადებაში თვიანთი წვლილი შეიტანეს ნათია ჯანგულაშვილმა და გურამ ტაბატაძემ.



## სარჩევი

<b>ივანე ჯავახიშვილი</b> იაკობ ხუცესი	11
<b>კორნელი კეკელიძე</b> იაკობ ცურტაველი	23
<b>სერგი გორგაძე</b> შენიშვნები	34
<b>ილია აბულაძე</b> მარტვილობის წიგნთა შინაარსისა და კომპოზიციის საკითხებისათვის	50
<b>შერმადინ ონიანი</b> თხზულების ავტორი	56
<b>ელგუჯა გიუნაშვილი</b> <b>ზურაბ სარჯველაძე</b> „შუშანიკის წამების“ ტექსტის ისტორიისთვის	63
<b>ნანა მრევლიშვილი</b> „შუშანიკის წამების“ ქართული ვრცელი რედაქციის საკითხისათვის	70
<b>ნიკოლოზ ჯანაშია</b> ქართულ-სომხური ვრცელი რედაქციები	85
<b>გრივერ ფარულაგა</b> ამბავი მარგალიტისა	131
<b>ქეთევან ცხადაძე</b> „შუშანიკის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან	150
<b>ნიკოლოზ ჯანაშია</b> „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია	164

<b>ენრიკო გაბიაშვილი</b> ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის ზოგიერთი საკითხი	198
<b>კორნელი დანელია</b> <b>ვახტანგ გოგუაძე</b> „შუშანიკის წამების“ მხატვრული სპეციფიკის ინტერპრეტაციისათვის	244
<b>შერმადინ ონიანი</b> შუშანიკის „მარტვილობის“ ჟანრის საკითხი	270
<b>ვახტანგ ჭელიძე</b> ჩარჩოები	275
<b>ბეჟან კილანავა</b> „შუშანიკის წამების“ ჟანრობრივი კლასიფიკაციისათვის	297
<b>ელგუჯა ხინთიბიძე</b> „შუშანიკის წამება“ და ბიზანტიური აგიოგრაფიის სათავეები	317
<b>ლევან მენაბდე</b> უცხოელი მეცნიერები იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შესახებ	326
<b>გალერიან გაბაშვილი</b> „შუშანიკის წამების“ სპარსთა მეფის იდენტიფიკაციისათვის	335
<b>მარიამ ლორთქიფანიძე</b> იაკობ ცურტაველის ეპოქა	356
<b>მანანა სანაძე</b> სასანიანი მეფეები ქართლში III ს-ის 60-იანი-VI ს-ის 60-იანი წწ. (მეფე რევ მართლიდან დარჩილ ვახტანგ გორგასლის ძის ჩათვლით)	360
<b>გიული ალასანია</b> ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჰუნებთან; მისი გარდაცვალების თარიღი	384

<b>გიორგი მამულია</b> ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ	396
<b>ბესიკ ხურცილავა</b> „თავი იგი ებისკოპოსთაჲ სამოველ“-ის ვინაობის შესახებ	411
<b>ლაშა-ნიკოლოზ ჯანაშია</b> ქართლი V ს. შუა წლებში	420
<b>ვახტანგ გვილაძე</b> ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის	445
<b>მოსე ჯანაშიელი</b> მეფე ვახტანგ გორგასალი (გურგენი)	463
<b>ბესიკ ხურცილავა</b> „შუშანიკის წამების“ ქრონოლოგიისათვის	482
<b>სიმონ ჭანტურიშვილი</b> „შუშანიკის წამება“ როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყარო	509
<b>სოფიო გულიაშვილი</b> მეხუთე საუკუნის ქართლის ეთნოგრაფიული სურათი „შუშანიკის წამების“ მიხედვით	538
<b>სახელთა საძიებელი</b>	566



იაკობ ხუცესი\*

იაკობ ხუცესს ეკუთვნის „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, რომელიც ჯერჯერობით მაინც უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებად უნდა ჩაითვალოს. თვით ავტორი თავის თავს პირდაპირ არ ასახელებს იქ, სადაც თავის ვინაობაზე ლაბარაკობს, არამედ თავმდაბლობით ნათქვამი აქვს მხოლოდ „ესე მივწერე თქუენდაო“ (ს. გორგაძის გამოც., გვ. 1), ან კიდევ უფრო გარკვევით: „მეცა ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი (სხვაგან) თანა ვჰყვანდი ებისკოპოსსა მას“, როდესაც შუშანიკს პირველად ქმრის გამაზღვანების ამბავი მოუვიდაო (იქვე, გვ. 3<sup>20-22</sup>). მაგრამ ამისდა მიუხედავად უკვე მ. საბინინმა სამართლიანად შენიშნა, რომ ამ ხუცესს სახელად იაკობი ერქვა. ერთს ალაგას მას სახელდობრ ფრჩხილებს შუა ნათქვამი აქვს: ამ მარტვილობას „მოამბევე წმიდისა შუშანიკისა... ჰსწერს იაკობ ხუცესიო“ (საქ. სამ., გვ. 182). ამ სიტყვების შემდეგ ამგვარი შენიშვნაა: „ხუცესი იაკობ მოძღუარი იყო წმიდისა, რომელმანცა აღსწერა წამება წმ. მოწამისაო“ (იქვე, შენ. 5). არავითარი დასაბუთება იქ გამომცემელს არ დაუერთავს.

ს. გორგაძესაც „შუშანიკის წამების“ ავტორად იაკობ ხუცესი ჰყავს დასახელებული. მასაც არც წინასიტყვაობაში, არც შენიშვნებში ეს ცნობა დასაბუთებული არა აქვს. მხოლოდ საძიებლითგან (იხ. იაკობ) შეიძლება მკითხველი მიხვდეს, რომ მას ამგვარ საბუთად თვით ავტორისავე ის სიტყვები აქვს მიჩნეული, რომელზედაც, ალბათ, მ. საბინინის ცნობაც უნდა იყოს დამყარებული.

მთელი თხზულება, „წამებად“ წოდებული, მოამბის პირით არის დაწერილი: ავტორი თანამედროვედ, ხოლო ხშირად თანადამხდურად და მონაწილედაც მოჩანს. ერთგან, სადაც ხუცეს-ავტორს აღწერილი აქვს, თუ როგორი ბაასი ჰქონიათ მას და შუშანიკს ნათქვამია, შუა საუბარში რომ ვიყავით, უეცრად „მოვიდა ყრმაჲ და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ „რა გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკვრდა, თუ რაღსა მე მიწესს ამას უამსაო“ (გვ. 9<sub>35</sub>-10<sub>4</sub>). ავტორის ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ პიტიახში იაკობ ხუცესს იწვევდა, ხოლო რაკი

\* დაბეჭდილია: ჯავახიშვილი, ივ. (1977). *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად (V-XIII სს.)*; თხზულებანი 12 ტომად. ტომი VIII. წ. 1: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 56-65.

წამების მომთხრობელი და აღმწერი, უმატებს, – მე გამიკვირდა, ასეთს დროს თუ რისთვის უნდა მიწვევდეს პიტიახშიო, – ცხადია, რომ თვით ავტორი, შუშანიკის ხუცესი, ყოფილა სწორედ ის იაკობი, რომელსაც ვარსკენ ძე არშუშასი პიტიახში თავისთან იბარებდა. მაშასადამე, მ. საბინინი და ს. გორგაძე მართალნი არიან, როდესაც „წმ. შუშანიკის წამების“ ავტორად იაკობ ხუცესს ასახელებენ.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ავტორი იაკობ ხუცესი მოთხრობილი ამბის თვითმხილველი და თანადამხდური იყო. წამების მთელს მოთხრობაში ავტორი თავის თავზე მეობით ლაპარაკობს. იაკობი შუშანიკის ხუცესი ყოფილა. როდესაც შუშანიკმა თავისი ქმრის გადარჯულების ამბავი შეიტყო, „მე... ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი“, შემთხვევით ცურტავში არ ვიყავიო (3<sub>20-22</sub>). მაგრამ დიაკონმა მე და ებისკოპოს აფუტს საჩქაროდ საქმის გარემოება გვაცნობა თუ არა, „მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და, ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მისთანავეო“ (3<sub>29-31</sub>). ამის შემდგომ იაკობ ხუცესი შეძლებისამებრ შუშანიკს არ მოშორებია და ყოველთვის, როცა კი შესაძლებელი იყო, მის სანახავად მიდიოდა ხოლმე. მასზე უფრო მახლობელი პირი სხვა არავინ ყოფილა და იაკობზე უკეთესად მისი თავგადასავალი არავის ეცოდინებოდა. რაკი ავტორი შუშანიკთან ასე დაახლოვებული ყოფილა და, როგორც ხუცესს შეშვენის, ამასთანავე მისი მესაიდუმლეც იყო, არც გასაკვირველია, რომ მის თხზულებაში ავტორისა და მომთხრობელის პიროვნება და მისი მეობა იმდენად ხშირად არის მოხსენებული, რომ დამამტკიცებელი მაგალითების მოყვანა თითქმის მთელი თხზულების გამეორებას უდრის. ამის გამო აქ მხოლოდ უმთავრესი და უფრო თვალსაჩინო მაგალითები იქნება მოყვანილი.

განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ ამ საქმეში იაკობ ხუცესი ვარსკენ პიტიახშსაც გაურევია და თანდამხდურად და მონაწილედაც გაუხდია: „ხვალისა დღჳ... აღდგა პიტიახში, გვწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით... და გურქუა ჩუენო“ (5<sub>6-8</sub>). ვარსკენს მათთვის მიუხდვია: „აწ მივედით და არქუთ“, რომ სახლში დაბრუნდესო (5<sub>14-16</sub>). ხუცესთ, და მათ შორის, რასაკვირველია, იაკობსაც, თავიანთი მბრძანებელის ნალაპარაკევი შუშანიკისათვის გადაუციათ, რომელსაც, თავის მხრივ, ქმრისათვის პასუხი შეუთვლია, და „ჩუენ ესე ყოველი მიუთხაროთ პიტიახშსაო“ (5<sub>31</sub>).

შემდეგშიაც, როცა ვარსკენმა თავისი ცოლის სამკაულის უკან დაბრუნება სთხოვა, ამ საქმის მოწყობაც მას თურმე იაკობისათვის მიუხდვია: „ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს... მივედ

და მომართუ იგი ყოველივეო“. და მასაც დავალება აუხრულებია (10<sub>1-16</sub>). მაშასადამე, იაკობ ხუცესი მარტო შუშანიკის მახლობელი პირი კი არა ყოფილა, არამედ ვარსკენისაც. მაშინაც კი, როდესაც შუშანიკი უკვე დამწყვდებული იყო სენაკში, იაკობს შუშანიკის ნახვა და მასთან საუბარი მოუხერხებია: „მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა“, შემიშვი, რომ შუშანიკი ვნახო და წყლულება გაუსინჯო (8<sub>33-35</sub>). მას დიდი ყოყმანის შემდგომ თანხმობა განუცხადებია და „შემიტევა მე ფარულადო“ (9<sub>3-4</sub>).

ამავე საშუალებით ახერხებდა თურმე იაკობ ხუცესი შემდეგშიაც, როცა ქმარმა შუშანიკი უკვე ციხეში ჩააგდო, შუშანიკის ნახვას და მისი ამბის გაგებას: „მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭელი ერთი სამისოდ და ძნად თავს იდვა შეტეგებაჲ ჩემიო“ (13<sub>15-18</sub>).

დასასრულ, იაკობ ხუცესი შუშანიკის უკანასკნელს წუთებსაც დასწრებია, მისი სიკვდილი თავისი თვალით უნახავს, დასაფლავებაში მონაწილეობა მიუღია (21<sub>25</sub>-22<sub>22</sub>) და თვით შუშანიკის ხსენების „დღევ ხუთშაბათი... განვაწესეთო“ (23<sub>3-4</sub>).

როგორც თანამედროვესა და თანადამხდურს შეეფერება, იაკობ ხუცესს თავისი თხზულება თარიღებით შეუმკია. წამების აღწერას, მაგ., ის ასე იწყებს: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა – კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში ძმ არშუშაჲსი“ (1<sub>6-7</sub>). აქ შეჭველია სპარსთა მეფის სახელი აკლია, რომელიც რასაკვირველია, თავდაპირველს დედანში უნდა ყოფილიყო, რადგან უამსახელოდ ზემომოყვანილს თარიღს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება. საყურადღებოა, რომ X საუკ. ხელთნაწერშიაც ეს სპარსთა მეფის სახელი გამოტოვებულია. მაგრამ ჯუანშერის თხზულება ამტკიცებს, რომ მას ხელთ ჰქონია ისეთი ხელთნაწერი, რომელშიაც სპარსთა მეფის სახელი ჯერ გამოტოვებული არა ყოფილა. მას თავის შრომაში სხვათა შორის შუშანიკის მარტვილობის ამბავიცა აქვს შეტანილი და აი რა უწერია: „ამასვე ჟამსა მეფობდა სპარსეთს [მეფე], რომელსა ერქუა ურმიზდ და მასვე ჟამსა იყო სომხითსა კაცი ერთი შვილი მთავართა სახელით ვარსკენ და ესუა მას ცოლი მთავართა შვილი რომელსა ერქუა შუშანიკ ასული ვარდანისი“ და სხვა (ცა ვახტანგ გურგასალისა მამ დჳსი ქცა, 404, გვ. 188, ანა დღჳლს ქცა-შიც ამგვარადვეა). აქ დასახელებული ურმიზდი მესამე უნდა ყოფილიყო პეროზად წოდებული (457-484). მოთხრობის დასაწყისი ეხება, მაშასადამე, ისეთს ამბავს, რომელიც პეროზის მეფობის მერვე წელს, ე. ი. 464-465 წ. მომხდარა. იაკობ ხუცესს ამას გარდა აღნიშნული აქვს, რომ შუშანიკმა „ექუსი წელი ციხესა შინა აღასრულა“ (გვ. 14<sub>6-7</sub> და 17<sub>31-32</sub>), ხოლო, როცა მისი აღსასრულის დღენი მოახლოვდა, მაშინ უკვე „მეშვდე

წელი დადგებოდა“ (17<sub>34</sub>). „წამების“ ბოლოში უფრო ზედმიწევნით არის დასახელებული თვე და რიცხვი: „არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აბნისისასა, მერვესა თთვასასა და დღესა ოთხშაბათსა. და მეორედ გუემად მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა და კუალად ტანჯვად ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა. და აღსრულებად მისი – თთუესა ოკდონბერსა (sic) ათშვდმეტსა... და დღჳ ხუთშაბათი იყო რომელსა განვაწესეთ საცსენებელი წმიდისა შუშანიკისი“ (გვ. 22-23). ასეთი ზედმიწევნილობით მხოლოდ თანამედროვესა და თანადამხდურს შეეძლო თარიღების განსაზღვრა, რასაკვირველია, თუ იმ გარემოებასაც ანგარიშს გაუწევთ, რომ ავტორის თანამედროვეობას, როგორც უკვე დავინახეთ, და შემდეგშიაც უფრო მეტადაც დავრწმუნდებით, იაკობ ხუცესის თხზულების სხვა მრავალი თვისებაც ცხადყოფს.

თუ გავიხსენებთ, რომ შუშანიკის წამება დაიწყო 465-ე წელს და რომ მისი წამების უკვე მეშვიდე წელიწადი ყოფილა, როდესაც სული განუტევებია, მაშინ ცხადი იქნება, რომ შუშანიკი 17 ოქტომბერს, ხუთშაბათს, 472-ე წელს უნდა გარდაცვლილიყო.

იაკობ ხუცესის თხზულების დიდ ღირსებას ის თვისებაც შეადგენს, რომ მას მოთხრობაში მოხსენებულ პირთა გინაობის შესახებაც აქვს ცნობები მოყვანილი, სახელებიც ყოველთვის აღნიშნული აქვს. მოქმედების ასპარეზად ქცეული დაბა-ქალაქებისა თუ ქვეყნის შესახებ გეოგრაფიული ცნობებიც მუდამ მკაფიო და ზედმიწევნითია. ყველა ეს გარემოებანი ჩვენი ისტორიკოსის თანამედროვეობისა და თვითმხილველობის აზრს უფრო აძლიერებენ.

იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილს თხზულებას შეშვენის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოვო ცნობები მოიპოვება, რომელნიც მთელს მოთხრობაში ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თანსდევნ ამბის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება. ასე სრულად და ცხოვლად მაშინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების აღწერა მხოლოდ თანამედროვეს შეეძლო და იაკობ ხუცესის ყოველს ცნობას თანამედროვეობის ბეჭედი ცხადად აზის კიდევ.

მაგრამ „წა შუშანიკის წამებაში“ განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის გულწრფელობა, უშუალოება და ბუნებრიობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კილოა გამსჭვალული თავითგან ბოლომდის. ამის წყალობით იქ მაშინდელი ყოფა-ცხოვრება მთელის თავისი ღირსება-

ნაკლუღეგანებით გვეხატება და არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეთ გაზვიადებული და დაუჭერებელი სულიერი მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება. თვით „წამების“ მთავარი გმირისა და მოქმედი პირის წა შუშანიკის პირადი ხასიათის ზოგიერთი უსიამოვნო თვისების, განსაკუთრებით სიფიცხისა და თავშეუკავებლობის დამალვაც კი იაკობ ხუცესს ფიქრად არ მოსდის, რაც ამგვარი თხზულებებისათვის იშვიათ მოვლენად უნდა იყოს მიჩნეული. ჩვენს ავტორს მაგ., პურის ჭამის დროს მომხდარი ამბავი დაწვრილებითა და სრულის სინამდვილით აქვს მოთხრობილი: როდესაც შუშანიკის რძალი, ჯოჯიკის ცოლი ცდილობდა, ცოტა რამ საჭმელ-სასმელითგან ეგემნა და ამ მიზნით „ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოდ ჭიქითა და აიძულებდა მას რადთამცა იგი ხოლო შესუა“, შუშანიკმა მოსალოდნელი თავაზიანი უარის თქმის მაგიერ თურმე „განყარა ჴელი და ჭიქად იგი პირსა შეაღეწა (რძალს) და ღვინოდ იგი დაითხია“ (გვ. 7).

თუ მკითხველი იაკობ ხუცესის მოთხრობაში აღწერილს საქმის მთელს გარემოებას ჩაუკვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახითგან, რაც ვარსკენს თავის თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია (5<sup>6-16</sup>, 6<sup>4-29</sup>, 8<sup>12-15</sup>, 10<sup>28-31</sup>, 15<sup>23-26</sup>). ამგვარი დაკვირვებისა და დასკვნის საშუალება ჩვენ სწორედ ავტორის უტყუარი და შეუფერადებელი აღწერილობის წყალობითა გვაქვს.

იაკობ ხუცესს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ წა შუშანიკი გასაოცარი აღფრთოვანებითა და სიხარულითაც ითმენდა ქმრისაგან ქრისტიანობის გულისათვის ტანჯვასა და წამებას, მაგრამ არც ის გარემოება აქვს დამალული, რომ უკანასკნელ ხანში თვით შუშანიკსაც თავისი უდროოდ დაღუბული სიცოცხლის გამო ცოტა არ იყოს უკმაყოფილების გრძნობა შეპარვია და უთქვამს: „მიაგოს“ ჩემს ქმარს სამაგიერო „უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შუენიერებად სიკეთისა ჩემისად დააბნელა და დიდებად ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორისო“ (გვ. 19<sup>35</sup>-20<sup>5</sup>). ამ დროს შუშანიკს მაშინდელი, ამქვეყნიური წესწყობილების აღარც ის მხარე-ლა აკმაყოფილებდა, რომლითაც მას, დედაკაცს, მის ქმარ მამაკაცზე დაბლა აყენებდა და ხელთქვეშეთად ხდიდა. ის მომავალს უკანასკნელს განსჯას-ლა შენატრიდა: „გავისაჯნეთ მე და ვარსკენ“ ჩემი ქმარი იქ, „სადა არა არს თუალთღებად წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა“ იქ, „სადა იგი არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა. სადა მე და მან სწორი სიტყუად ვთქუათ წინაშე ღმერთისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“ (გვ. 19).